

პილარ 3 - წლიური ანგარიში

სს „ტერაბანკი“

2025

სარჩევი

ტერაბანკის სტრატეგია.....	3
მმართველობა	4
აქციონერთა სტრუქტურა	5
სამეთვალყურეო საბჭო.....	8
აუდიტის კომიტეტი.....	14
რისკების კომიტეტი.....	14
საბჭოს, საბჭოს კომიტეტების და მათი წევრების საქმიანობის შეფასება.....	15
ბანკის დირექტორთა საბჭო	16
ეთიკის კოდექსი.....	22
რისკების მართვა.....	23
რისკების კომიტეტები.....	26
რისკების მიტიგაციის სტრუქტურა	27
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკები (ESG)	34
ანაზღაურების პოლიტიკა.....	35

სს „ტერაბანკი“

„ბანკი“ დაარსდა საქართველოში, როგორც სააქციო საზოგადოება 2007 წლის 30 დეკემბერს იურიდიული სახელწოდებით „სს კორ ბანკი“. 2016 წლის 23 მაისს „ბანკმა“ შეიცვალა იურიდიული სახელწოდება სს „ტერაბანკად“.

„ბანკის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს დეპოზიტების მიღებას, სამომხმარებლო ანგარიშების მართვას, საკრედიტო ოპერაციებს, გარანტიების გაცემას, ფულადი სახსრებისა და საანგარიშსწორებო ოპერაციებს, ფასიან ქაღალდებსა და უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებს. „ბანკის“ საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ). „ბანკი“ ფლობს 2008 წლის 25 იანვარს სებ-ის მიერ გაცემულ გენერალურ საბანკო ლიცენზიას.

სს ტერაბანკი არის ჯგუფის ნაწილი, რომელიც მოიცავს სს ტერაბანკს და სს ტერა ლიზინგს.

„ბანკის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი #3, თბილისი 0103, საქართველო. „ბანკს“ აქვს 29 ფილიალი, სერვის ცენტრი და სერვის დესქი, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ყველა მთავარ ქალაქში.

ტერაბანკის სტრატეგია

ტერაბანკისათვის სტრატეგიულ საბაზრო სეგმენტებს წარმოადგენს მიკრო, საშუალო და მცირე ბიზნესები, ასევე საცალო საბანკო მომსახურება. ბანკი აღნიშნული მიმართულებით გეგმავს ამბიციურ განვითარებას მომდევნო წლების განმავლობაში.

ბანკი გეგმავს შემდგომი სტრატეგიული ბიზნეს ამოცანების მიღწევას:

- ყოველწლიურად კონკრეტული მომგებიანობის მაჩვენებლების შენარჩუნება;
- მიკრო, მცირე და საშუალო და საცალო სესხებზე ბაზრის წილების ზრდა;
- მცირე და საშუალო კლიენტების ბაზარზე საბანკო მომსახურებების უმაღლესი სტანდარტის შექმნა. ასევე, იყოს აქტიური მოთამაშე საცალო დაკრედიტების მიმართულებით;
- ფოკუსირება ციფრულ ბანკინგზე;
- მწვანე დაფინანსების განვითარება.

ტერაბანკი სტრატეგიული გეგმის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს ბანკის ხედვას, მისიას და ღირებულებებს. ბანკი, საკუთარი ხედვისა და მისიის შესაბამისად გეგმავს ქმედებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ბანკის განვითარების მიმართულებას. ბანკის ღირებულებები განაპირობებს ბანკის დამოკიდებულებას მომხმარებლების, აქციონერების, კონკურენტების და/ან თანამშრომლების მიმართ.

ბანკის ხედვა

ჩვენ ფინანსებს ვაქცევთ მარტივ, მოქნილ და გასაგებ საშუალებად მათთვის, ვინც ქმნის, აშენებს და ავითარებს — ანუ შენთვის, რადგან ჩვენი მთავარი მიზანი შენთან ერთად ზრდაა.

ბანკის მისია

ჩვენი მისიაა, გამორჩეული და ინდივიდუალური მომსახურებით ხელი შევუწყოთ მეწარმეებს, მათთან დასაქმებულ ადამიანებსა და მათ მომხმარებლებს ბიზნესისა და პირადი ფინანსური ამოცანების გადაჭრაში, რასაც გამორჩეული სერვისითა და ცალკეულ კლიენტზე ზრუნვით ვაღწევთ; ბიზნესის

მიმართ პასუხისმგებლობაზე დამყარებული ქმედითი მხარდაჭერით ჩვენი წვლილი შეგვაქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

ჯგუფის სტრუქტურა

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ტერაბანკის ყავდა შვილობილი კომპანია სს ტერა ლიზინგი რომლის საქმიანობას წარმოადგენს მისი ლიზინგის ბიზნესის განხორციელება, დაფუძნებისას „ბანკმა“ სს „ტერა ლიზინგში“ 87%-იან წილში 5,500 ათასი ლარის შენატანი განახორციელა.

სს ტერა ლიზინგის დირექტორთა საბჭო:

ნატო ტორონჯაძე-გენერალური დირექტორი

ლევან გოგორელიანი-კომერციული დირექტორი

სალომე ლუდუშაური-საოპერაციო დირექტორი

ბექა ვახტანგიშვილი-პროდუქტების განვითარების დირექტორი

მარიამი ბერიძე-რისკების დირექტორი

სამეთვალყურეო საბჭო:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე -თეა ლორთქიფანიძე

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი-თეიმურაზ აბულაძე

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი-დავით ვერულაშვილი

ბანკს გააჩნია წილობრივი, არასაკონტროლო მონაწილეობა შემდეგ იურიდიულ პირებში:

- შპს „სტანდარტ ლიზინგი“ – 20%-იანი წილით;
- შპს „საკრედიტო კავშირების რეფინანსირების კომპანია“ – 40%-იანი წილით.

აღნიშნული წილობრივი მონაწილეობის ფარგლებში ბანკის კონტრიბუცია საწესებო კაპიტალში არამატერიალურია (შეადგენს შესაბამისად 2 ლარს და 2.6 ლარს)

დღევანდელი მდგომარეობით არცერთი ზემოაღნიშნული საწარმო არ ახორციელებს რაიმე სახის სამეწარმეო საქმიანობას (უმოქმედოა).

მმართველობა

ბანკის კორპორატიული ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო. აქციონერთა საერთო კრება ბანკის უმაღლესი შიდა მმართველი ორგანოა, იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომლებიც პასუხს აგებენ დირექტორთა საბჭოს

ზედამხედველობაზე. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორთა საბჭოს წევრებს, რომელიც წარმოადგენს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაზე პასუხისმგებელ ორგანოს.

აქციონერთა სტრუქტურა

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის აქციონერთა სტრუქტურა :

აქციონერები	წილობრივი მონაწილეობა %
შეიხი ნაჰაიან მაბარაქ ალ ნაჰაიანი	80%
შეიხი მოჰამად ბუტი ალ ჰამედი	15%
შპს „ინვესტმენტ ტრედიინგ გრუპ“	5%
	100%

აქციონერთა უფლებები

ბანკის აქციონერებს აქვთ შემდეგი უფლებები:

- პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწრონ აქციონერთა საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღონ ხმის მიცემის პროცედურაში, გამოთქვან აზრი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, დასვან შეკითხვები და წამოაყენონ წინადადებები;
- მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში და მიიღონ დივიდენდები აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე;
- მოთხოვონ საერთო კრების დღის წესრიგში შესული საკითხების დაზუსტება და/ან განმარტებები დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით;
- განკარგონ საკუთარი აქციები ბანკის წესდებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, მათი წილის პროპორციულად მიიღონ იმ აქტივების წილი ან ღირებულება, რომელიც დარჩება კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ (მათი სალიკვიდაციო ქვოტა).
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბანკს მოსთხოვონ თავიანთ საკუთრებაში არსებული აქციების გამოსყიდვა;
- კანონითა დადგენილი წესით გაეცნონ ბანკის დოკუმენტებს და მიიღონ მათი ასლები ბეჭდური ფორმით ან ელექტრონულად, თუ აქციონერებს წინასწარ აქვთ განცხადებული თანხმობა ინფორმაციის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მიღებაზე;
- დირექტორთა საბჭოს მოსთხოვონ ბანკის სახელით დადებული გარიგებების ასლები. დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია, ბანკის ინტერესებიდან ან/და საკანონმდებლო/სახელშეკრულებო შეზღუდვებიდან გამომდინარე, უარი განაცხადოს ამ ასლების/ინფორმაციის გაცემაზე;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოიწვიონ რიგგარეშე საერთო კრება;
- მოითხოვონ საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის დამატება კანონით დადგენილი წესით.

აქციების საერთო რაოდენობის ხუთი (5%) ან მეტი პროცენტის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვთ:

- მოითხოვონ ბანკის ეკონომიკური საქმიანობის ან წლიური ფინანსური ანგარიშგების სპეციალური შემოწმება, რომელსაც განახორციელებენ თავიანთი არჩეული, შესაბამისი ცოდნის და გამოცდილების მქონე სპეციალისტები. აღნიშნული მოთხოვნა წერილობითი ფორმით უნდა წარედგინოს საერთო კრებას;
- მოთხოვონ სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის ჩატარება.

აქციონერთა ჩართულობა

აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გენერალური დირექტორი. თუ გენერალური დირექტორი არ ასრულებს თავის მოვალეობას და არ იწვევს საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება.

აქციონერთა მორიგი საერთო კრება მოწვეულ უნდა იქნას გენერალური დირექტორის მიერ ყოველწლიურად არანაკლებ წელიწადში ერთხელ, ყოველწლიური აუდიტის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

ბანკის რიგგარეშე კრება მოწვეულ უნდა იქნას გენერალური დირექტორის, ან ბანკის აქციების სულ მცირე 5%-ის (ხუთი პროცენტის) მფლობელი აქციონერის (აქციონერების) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ. საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერის/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახული იქნება აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი.

საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება განთავსდება სარეგისტრაციო ელექტრონულ პორტალზე და ბანკის ვებსაიტზე კრების თარიღიდან სულ მცირე 21 დღით ადრე.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრული წესით პირველი საერთო კრების ჩატარების შემდეგ, თუ განსახილველი საკითხები არ შეიცვალა ან თუ პირველი საერთო კრებისთვის საჭირო კვორუმი არ შედგა, ყოველი მომდევნო საერთო კრება შესაძლოა ზემოთ განსაზღვრულ ვადაზე მოკლე დროში ჩატარდეს. ასეთ შემთხვევაში, საერთო კრებებს შორის გათვალისწინებულია მინიმუმ 10 დღიანი ინტერვალი.

საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია და კვორუმი შემდგარია, თუ კრებას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა ნახევარზე მეტი. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, ზემოაღნიშნული პუნქტების პროცედურების დაცვით, გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება იგივე დღის წესრიგით. ახალი კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა სულ მცირე 25% (ოცდახუთი პროცენტი).

აქციონერთა საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას კი – სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რომელსაც ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. იმ შემთხვევაში თუ საერთო კრებაზე განსახილველად გამოტანილია საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც საერთო კრების თავმჯდომარეს გააჩნია ინტერესთა შეუთავსებლობა (კონფლიქტი), ასეთი საკითხის განხილვისას კრებას თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრი.

აქციონერთა კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:

- წესდების და მისი ცვლილების (მათ შორის ნებადართული კაპიტალის, საფირმო სახელწოდების ცვლილება) დამტკიცების შესახებ;

- ბანკის რეორგანიზაციის შესახებ;
- ბანკის დაშლის, ლიკვიდატორის დანიშვნის, შუალედური და საბოლოო სალიკვიდაციო ბალანსების დამტკიცების შესახებ;
- ბანკის მიერ აქციათა გამოსყიდვის ნებართვის გაცემის შესახებ;
- განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის, წევრების რაოდენობის, მათი არჩევის, ვადამდე გამოწვევის, ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის განსაზღვრის შესახებ;
- ბანკის აუდირებული ანგარიშის დამტკიცების შესახებ;
- ფინანსური ანგარიშის დამტკიცებისა და დივიდენდის განაწილების შესახებ;
- ბანკის ხელმძღვანელი ორგანოს/პირების და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, მათ შორის, აღნიშნული პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე;

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი წევრისაგან. არც ერთი მათგანი არ არის იმავდროულად ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრი. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოს ხუთი წევრიდან სამი დამოუკიდებელი წევრია. სამეთვალყურეო საბჭოს ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა პროფესიული გამოცდილების შესახებ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შეიხი ნაჰაიან მაბარაჟ ალ ნაჰაიანი (თავმჯდომარე)

მისი აღმატებულება შეიხი ნაჰაიან მაბარაჟ ალ ნაჰაიანი 1992 წლიდან არაბეთის გაერთიანებული საამიროების ფედერალური მთავრობის წევრია და ამჟამად ტოლერანტობის მინისტრის პოსტს იკავებს.

თავდაპირველად იგი გახლდათ უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების მინისტრი, 2013 წლიდან ხელმძღვანელობდა კულტურის, ახალგაზრდობისა და სოციალური განვითარების სამინისტროს, ხოლო 2016-2017 წლებში იკავებდა კულტურისა და ცოდნის განვითარების მინისტრის თანამდებობას.

1983-2013 წლებში მისი აღმატებულება შეიხი ნაჰაიანი არაბეთის გაერთიანებული საამიროების უნივერსიტეტის კანცლერი იყო, 1988-2013 წლებში კი იგივე პოზიცია ტექნოლოგიების უმაღლეს კოლეჯში ეკავა, იყო ზაიედის უნივერსიტეტის კანცლერიც.

სხვადასხვა დროს იყო გაერთიანებული ნაციონალური ბანკის (UNB, Abu Dhabi, UAE) თავმჯდომარე, იუნაიტედ ბანკ ლიმიტედის (პაკისტანი) თავმჯდომარე და დირექტორი, ბანკი ალფალას თამჯდომარე.

მისი აღმატებულება შეიხი ნაჰაიანი დიდ ბრიტანეთში — ოქსფორდის უნივერსიტეტის მილფილდის სკოლასა და მაგდალენ კოლეჯში სწავლობდა. საუნივერსიტეტო ხარისხი მას მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში აქვს მიღებული.

აბჰიჯით ჩოუდური (წევრი)

აბჰიჯით ჩოუდური 2022 წლიდან ტერაბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. პარალელურად, იგი იკავებს დამოუკიდებელი არაადმასრულებელი დირექტორის პოზიციას ბანკ ABC Islam-ის საბჭოში, ბაჰრეინში და და **RAKBank PJSC**-ის (არაბთა გაერთიანებულ საემიროებში) დირექტორთა საბჭოში არის ბანკირების, მარეგულირებელი და საინვესტიციო პროფესიონალებისთვის განკუთვნილი პლატფორმის, Athena Advisory Limited-ის დამფუძნებელი.

აბჰიჯით ჩოუდურის საბანკო სექტორში მუშაობის 40-წლიანი გამოცდილება აქვს. მისი კარიერა ინდოეთის ANZ Grindlays Bank-ში, ბაჰრეინის Arab Banking Corporation-ში და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, აბუ-დაბის ეროვნულ ბანკში საქმიანობებს აერთიანებს. ამ პერიოდის განმავლობაში იგი მმართველ გუნდებსა და საბჭოებში სხვადასხვა რანგის პოზიციებს იკავებდა: იყო აბუ-დაბის ეროვნული ბანკის (NBAD) ჯგუფის რისკების დირექტორი და დროებითი აღმასრულებელი დირექტორი, First Abu Dhabi Bank-ის რისკების დირექტორი და არაბთა გაერთიანებული საემიროების ცენტრალური ბანკის მმართველის მრჩეველი. ასევე, ის აბუ-დაბის ეროვნული ბანკის შვილობილი კომპანიების საბჭოებში სხვადასხვა პოზიციებს იკავებდა.

აბჰიჯით ჩოუდურის აქვს მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში, რომელიც მან ნიუ დელის (ინდოეთი) Jawaharlal Nehru University-ში მიიღო.

სეთი დევიდარიანი (საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)

აქვს ბანკების, არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების და ფინანსური პროგრამების მართვის 15 წლიანი საერთაშორისო გამოცდილება. სხვადასხვა დროს იყო შორბანკ საკონსულტაციო კომპანიის საქართველოს მენეჯერი, მრჩეველი (ყაზახეთში), რისკების დირექტორი (აზერბაიჯანში), SOAKredit(აზერბაიჯანი) გენერალური დირექტორი, ბელორუსიის მცირე ბიზნესის ბანკის გენერალური დირექტორი, ბელორუსიის სახალხო ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე. მას დამთავრებული აქვს ინიდიანას უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის სამაგისტრო პროგრამა სტრატეგიულ მართვაში, ასევე პენსილვანიის უნივერსიტეტი საბანკო საქმის მიმართულებით და საბანკო საქმის ამერიკული ინსტიტუტი (ვაშინგტონი) ბანკის ფინანსური მართვის სპეციალობით.

ნანა მიქაშავიძე (საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)

ნანა მიქაშავიძე 2019 წლიდან არის სს ტერაბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, აქვს საქართველოს ფინანსურ სექტორში მუშაობის 20 წელზე მეტი გამოცდილება. ფართო გამოცდილება აქვს როგორც აღმასრულებელი, ასევე სტრატეგიული დაგეგმვის მიმართულებით, მნიშვნელოვან ცოდნას ფლობს პორტფელის მართვის და რისკების შეფასების სფეროში.

შპს Wizard-ში დამფუძნებელი დირექტორის თანამდებობაზე, ნანამ კონსულტაცია გაუწია ტრანსფორმაციული ლიდერობის და სტრატეგიული ოპერაციული განვითარების პროექტს IT კომპანია Azry-ში, Crystal MFO-ში და სხვა. მისი საკონსულტაციო სფერო ასევე მოიცავდა ფინანსურ მენეჯერის მოვალეობას Raymann Clinic-ში, სადაც მან მოახდინა ფინანსური საქმიანობის ოპტიმიზაცია და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კომპანიის საქმიანობა სტრატეგიული მიმართულებით. იგი ასევე მუშაობდა პოლიტიკის მენეჯმენტის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) ადგილობრივ ექსპერტად GGF-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტისთვის: „საქართველოში სალიზინგო დაფინანსების სერვისების საკანონმდებლო ბაზისა და ბაზრის მიდგომის შემუშავება“. პროექტი მიზნად ისახავდა რეგიონში სალიზინგო ფინანსური სერვისების მხარდაჭერას და მდგრად განვითარებას.

სტრატეგიული პარტნიორობისა და პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით ნანას საფუძვლიანი ჩართულობა დადასტურებულია მისი საკონსულტაციო საქმიანობით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) და ICCA Georgia-სთან საკვანძო პროექტებზე, რამაც განაპირობა გაუმჯობესებული შედეგები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. ჩართული იყო მნიშვნელოვან დისკუსიებში პოლიტიკის განსაზღვრთვის - საქართველოში ლიზინგის საკანონმდებლო ბაზის შემუშავებაში და Finance in Motion GmbH-ში მნიშვნელოვანი ინიციატივების განხორციელებაში, იგი ხელმძღვანელობდა 200 მილიონი ევროს საინვესტიციო პორტფელს, რომელიც ფოკუსირებული იყო მწვანე დაფინანსებასა და ფინტექზე.

კარიერის განმავლობაში ნანას ეკავა სხვადასხვა მნიშვნელოვან პოზიცია, მათ შორის იყო სს თიბისი ლიზინგის აღმასრულებელი დირექტორი, ქართული ICT კლასტერის დირექტორი, Finance in Motion GmbH საინვესტიციო მენეჯერი, თიბისი ბანკის კორპორატიული ბანკინგის დირექტორის მოადგილე და შორ ბანკის ქვეყნის მენეჯერის მოადგილე. ის მუშაობდა ალტეს უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის დეკანად, სადაც პრაქტიკულ ბიზნეს გამოცდილებას აკადემიურ წრეებს უზიარებდა.

ნანას აქვს თბილისის მენეჯმენტის ევროპული სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი და მუდმივად აუმჯობესებს პროფესიულ განვითარებას სხვადასხვა სასწავლო პროგრამებში მონაწილეობით.

თეონა მიქაძე (საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)

2023 წლის სექტემბრიდან ტერაბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია. მას ფინანსურ სექტორში 20-წლიანი გამოცდილება აქვს, როგორც აღმასრულებელ, ასევე საკონსულტაციო პოზიციებზე.

საბჭოს წევრობის გარდა, თეონა არის თარა ქონსალთინგის დამფუძნებელი და წამყვანი მრჩეველი, სადაც ის კომპანიებს ეხმარება ზრდაში სტრატეგიული დაგეგმვის, კვლევის, მომსახურების დიზაინის, სტრატეგიული მარკეტინგის, ბიზნესის განვითარებისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით, ასევე, არის EBRD-ის მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამის უფროსი კონსულტანტი კავკასიის რეგიონში.

მანამდე, სხვადასხვა დროს, თეონა იკავებდა შემდეგ პოზიციებს: აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში უფროსი საერთაშორისო კონსულტანტი EBRD, EIB და GGF მიერ დაფინანსებულ მწვანე და ინკლუზიური დაფინანსების პროექტებში. მას, ასევე, ეკავა საქართველოს ბანკის SOLO მომსახურების დირექტორის, თიბისი ბანკისა და პროკრედიტ ბანკის მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობები.

ის 2014-2017 წლებში, გარე მრჩეველის როლში ჩართული იყო ტერაბანკის სტრატეგიული დაგეგმარების პროექტში და აქტიური როლი შეასრულა რებრენდინგის სტრატეგიის შემუშავებაში.

თეონას აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები, ასევე, IE Business School-ის (ესპანეთი) მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში (MBA). გარდა ამისა, თეონა არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი სასწავლო კურსის სერტიფიკატს ფლობს.

სამეთვალყურეო საბჭოს როლი

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად არის ჩართული ბანკის საქმიანობაში. ყოველთვიურად ეცნობა და ამტკიცებს ბანკის ფინანსურ შედეგებს და ბანკის ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

2025 წლის განმავლობაში ჩატარდა 13 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა. განხილული და დამტკიცებული საკითხები მოიცავდა: ბანკის მიერ ახალი ფინანსური რესურსების მოზიდვას, მნიშვნელოვანი გარიგებების განხილვას, გასული პერიოდის შედეგების დამტკიცებას, წლიური ბიუჯეტის დამტკიცებას, ბანკის სხვადასხვა სახის სტრატეგიების განხილვას და სხვა.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია

სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

- დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნა და გათავისუფლება, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;
- წლიური ფინანსური ანგარიშებისა და მოგების განაწილების შესახებ წინადადებების განხილვა;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- ბანკის სტრუქტურის დამტკიცება;
- აუდიტის კომიტეტის წევრების დანიშვნა და გათავისუფლება;
- გარე აუდიტორის არჩევა და დამტკიცება;
- მოგებისა და ზარალის გეგმის, ინვესტიციების გეგმის დამტკიცება;

მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს:

- ახალი კომპანიის დაფუძნება ან არსებული კომპანიის წილის შეძენა;
- აქტივების შეძენის, გასხვისების, გაცვლის, შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულებაც აღემატება 10 000 000 (ათი მილიონი) ლარს;
- ინვესტიციების განხორციელება, თუ ამგვარი გარიგების ღირებულება აღემატება 10 000 000 (ათი მილიონი) ლარს;

- ახალი საბანკო საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- ბანკის მიერ სესხის ან კრედიტის აღება, თუ ამგვარი გარიგების ღირებულება აღემატება 10 000 000 (ათი მილიონი) ლარს;
- კრედიტისა და სესხის უზრუნველყოფა, რომელიც სცილდება ბანკის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;
- სავაჭრო წარმომადგენლ(ებ)ის (პროკურისტ(ებ)ის) დანიშვნა და გათავისუფლება;
- ფილიალების, განყოფილებების (სერვისცენტრების/სერვისდესკების) დაფუძნება და ლიკვიდაცია;
- ბანკის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული სხვა ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების და/ან დამატებითი სარგებლის განსაზღვრა;
- საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკების განსაზღვრა და დამტკიცება;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბანკის მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა;
- ბანკის აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

სამეთვალყურეო საბჭოში მუშაობის დაწყება

თანამდებობაზე დანიშვნისთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი იღებს ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოს და საბჭოს კომიტეტების ფუნქციისა და უფლებამოსილების შესახებ. ახალ წევრს აცნობენ მათ ვალდებულებებს და პასუხისმგებლობებს. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ახალ დამოუკიდებელ წევრებმა დანიშვნისთანავე მონაწილეობა მიიღეს სათანადო სწავლებებში, მათ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში, ბანკი ხელს უწყობს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პროფესიული განვითარებას. ბანკი ფარავს ხარჯებს, რათა სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრმა მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში არსებულ ნებისმიერ საკითხზე მიიღოს კონსულტაცია როგორც შიდა განყოფილებების, ასევე დამოუკიდებელი პროფესიონალების მხრიდან.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის მრავალფეროვნება

ბიზნესის ეფექტურად მართვისთვის მნიშვნელოვანია სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვანი უნარ-ჩვევები, ცოდნა და გამოცდილება. ბანკს მიაჩნია, რომ მისი სამეთვალყურეო საბჭოს არსებული ზომა და შემადგენლობა შესაბამისია ბანკის მოცულობასთან და ოპერაციების სირთულესთან. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს სხვადასხვა ქვეყანაში უკავია და / ან ადრე ეკავა მაღალი პოზიციები ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებით. ყოველივე აღნიშნული სამეთვალყურეო საბჭოს აძლევს საშუალებას თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პირად მრავალფეროვან და მდიდარ გამოცდილებას. სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრების რაოდენობა აჭარბებს არადამოუკიდებელი წევრების რაოდენობას რაც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

სამეთვალყურეო საბჭოში ამჟამად სამი დამოუკიდებელი წევრია: ბატონი სეით დევდარიანი, ქალბატონები ნანა მიქაშავიძე და თეონა მიქაძე. მათი დამოუკიდებლობის ხარისხი შეფასებულ იქნა მათი დანიშვნის მომენტში, ეროვნული ბანკის და სს ტერაბანკის შიდა რეგულაციების შესაბამისად და ყველა მათგანი სრულად აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობის დადგენილ კრიტერიუმებს. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ადგილი არ ქონია რაიმე ცვლილებას აღნიშნულთან დაკავშირებით და დასახელებული წევრები სრულ შესაბამისობაში იყვნენ დამოუკიდებლობის დადგენილ კრიტერიუმებთან.

საბჭოში ქალთა წარმადგენლობა ამჟამად 40%-ია.

აუდიტის კომიტეტი

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი. აუდიტის კომიტეტი სრულად დაკომპლექტებულია საბჭოს დამოუკიდებელი წევრებისაგან. მასში შედის საბჭოს სამი დამოუკიდებელი წევრი, კერძოდ ნანა მიქაშავიძე (თავმჯდომარე) სეითი დევდარიანი და თეონა მიქაძე აუდიტის კომიტეტის კომპეტენციაა:

- შიდა აუდიტის ფუნქციის ჩამოყალიბება, შიდა აუდიტის განყოფილების საქმიანობების ორგანიზება და მისი ზედამხედველობა;
- შიდა აუდიტის განყოფილების საშტატო ნუსხის ჩამოყალიბება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- შიდა აუდიტის განყოფილების უფროსისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნა/გათავისუფლების საკითხის განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- შიდა აუდიტის განყოფილების სამსახურის ადეკვატური რესურსების და მისი თანამშრომლებისათვის სათანადო ანაზღაურებისა და მოტივაციების სისტემის არსებობის უზრუნველყოფა;
- შიდა აუდიტის განყოფილების მეშვეობით ბანკის ანგარიშგებისა და საბუღალტრო ჩანაწერების, შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და მართვის სისტემებისა და პროცესების ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასების განხორციელება;
- შიდააუდიტორული საქმიანობის პროგრამის განხილვა და დამტკიცება თითოეული ფისკალური წლისათვის კვარტლების მიხედვით; გარეაუდიტორული საქმიანობისათვის ხელის შეწყობა.

აუდიტის კომიტეტი იკრიბება ყოველკვარტალურად. 2025 წლის განმავლობაში ჩატარებულ სხდომებზე განსახილველი საკითხები მოიცავდა აუდიტის გეგმის დამტკიცებას, შიდა აუდიტის სამსახურის მომზადებული რეკომენდაციების/რეპორტების გაცნობა/დამტკიცებას, შიდა აუდიტის გეგმის შესრულების ზედამხედველობას და სხვა.

რისკების და შესაბამისობის კომიტეტი

რისკების და შესაბამისობის კომიტეტი სრულად დაკომპლექტებულია საბჭოს დამოუკიდებელი წევრებისაგან. კერძოდ მასში შედის საბჭოს სამი დამოუკიდებელი წევრი: სეით დევდარიანი (თავმჯდომარე), ნანა მიქაშავიძე და თეონა მიქაძე. რისკების და შესაბამისობის კომიტეტის კომპეტენციებია:

- განიხილოს რისკის სტრატეგიები და მიაწოდოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალ რისკის აპეტიტზე;
- მოამზადოს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს ანგარიშგება ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილოს ბანკის რისკის პოლიტიკები,
- მონიტორინგი გაუწიოს დირექტორატს, რამდენად სათანადო პროცედურების დაცვით ხდება დირექტორატის მხრიდან ბანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ითანამშრომლოს და მონიტორინგი გაუწიოს რისკების დირექტორის საქმიანობას;

- რეკომენდაცია მისცეს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე;
- მონიტორინგი გაუწიოს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა.
- შეამოწმოს და დაამტკიცოს შესაბამისობის რისკების მართვის პროგრამა, რომელიც ადგენს ჩარჩოსა და მოთხოვნებს ბანკისთვის შესაბამისობის რისკების მართვის მიზნით.
- მიიღოს ანგარიშები შესაბამისობის საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის რეგულატორული შემოწმებებისა და ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.
- მიიღოს ანგარიშები ბანკის მიერ მოქმედი კანონების, წესებისა და რეგულაციების დაცვასთან დაკავშირებით და ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხზე ამ კონტექსტში. ითანამშრომლოს აუდიტის კომიტეტთან, რათა შეაფასოს შიდა და გარე აუდიტორების რეკომენდაციები და დააკვირდეს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

2025 წლის განმავლობაში ჩატარებულ სხდომებზე განსახილველი საკითხები მოიცავდა ბანკის რისკების პროფილის ანალიზს, სასესხო პორტფელის გაცნობას, რისკებთან დაკავშირებული სხვადასხვა პოლიტიკის გაცნობას და დამტკიცებას.

საბჭოს, საბჭოს კომიტეტების და მათი წევრების საქმიანობის შეფასება

„ტერაბანკმა“ მოიწვია დამოუკიდებელი გარე მრჩეველი სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი საბჭოს დონის კომიტეტების ეფექტურობის შესაფასებლად. ბოლო გარე შეფასებამ მოიცვა 2023–2025 წლების პერიოდი და დაეფუძნა შიდა დოკუმენტაციის, სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტების სხდომების ოქმების განხილვას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ შევსებულ სტრუქტურირებულ კითხვარზე პასუხებსა და საქართველოს კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსთან, ევროპის საბანკო უწყების (EBA) შიდა მართვის სახელმძღვანელო პრინციპებთან და შესაბამის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შედარებით ანალიზს. შეფასებამ მოიცვა ხუთი ძირითადი სფერო: 1. სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასების ჩარჩოს ეფექტურობა; 2. სამეთვალყურეო საბჭოს როლები და პასუხისმგებლობები; 3. საბჭოს დონის კომიტეტების ფუნქციონირება; 4. ორგანიზაციული და მართვის სტრუქტურა; 5. თანამშრომლობა ბანკის შიდა კონტროლის ფუნქციებთან.

გარე შეფასების შედეგები მიუთითებს, რომ ბანკის მართვის ჩარჩო ძირითადად შეესაბამება მარეგულირებელ მოლოდინებსა და დადგენილ საბაზრო პრაქტიკას და საერთო შედეგები შეფასდა მომწიფებულობის „მართულ“ (Managed) დონეზე.

შეფასებამ ასევე გამოავლინა შემდგომი გაუმჯობესების რამდენიმე შესაძლებლობა, ბანკი გაითვალისწინებს ამ რეკომენდაციებს კორპორაციული მართვის ჩარჩოს უწყვეტი განვითარებისა და გაძლიერების პროცესში.

გარე შეფასების გარდა, სამეთვალყურეო საბჭომ ჩაატარა 2025 წლის წლიური შიდა თვითშეფასება სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი კომიტეტების შეფასების შესახებ ბანკის სახელმძღვანელო პრინციპებისა და საქართველოს კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

აღნიშნული თვითშეფასების თანახმად:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რაც შესაბამისობაშია ბანკის ინტერესებთან;

- საბჭოს წევრები საკმარისად ჩართულნი არიან: ა) საბჭოს სხდომებში, ბ) ბანკის ხედვის, მისიის, სტრატეგიულ და ბიზნეს დაგეგმვაში, ფინანსური ანგარიშგების რისკებისა და შესაბამისი შიდა კონტროლის განსაზღვრაში და გ) ზედამხედველობის და კრიტიკული შეფასების პროცესში;
- საბჭოს წევრებს გათვითცნობიერებული აქვთ იურიდიულად განსაზღვრული მოვალეობები, ასრულებენ განკარგულებით, წესდებით განსაზღვრულ ფუნქციებს;
- საბჭოს წევრები მოქმედებენ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საბჭოს დამოუკიდებელი წევრებთან მიმართებაში, დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია შესაბამისი მოთხოვნები, რაც კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით არის დადგენილი;
- სამეთვალყურეო საბჭოს აქვს სფეროს ცოდნისა და მრავალფეროვანი გამოცდილების შესაბამისი კომპინაცია;
- კანონმდებლობისა და გაიდლაინების შესაბამისად, საბჭოს აქვს კომიტეტების სათანადო რაოდენობა. თითოეულ კომიტეტს აქვს კარგად განსაზღვრული სამუშაო მიმართულებები და შესაბამისი ანგარიშგების მოთხოვნები;
- საბჭოს სხდომის დღის წესრიგი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები მოიცავს კონკრეტულ ინფორმაციას და უზრუნველყოფს შესაბამისი ხარისხის და დეტალების განსაზღვრას;
- არსებობს პროცესები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბჭო სრულად იყოს ინფორმირებული ყველა მატერიალურ საკითხზე;
- საბჭოს სხდომების სიხშირე არის ადეკვატური და სხდომებზე საბჭოს წევრების დასწრება და მონაწილეობა ადეკვატურია;
- საბჭოს სხდომების ოქმები არის მკაფიო, ზუსტი, თანმიმდევრული, სრული და დროული;
- საბჭოს მიერ დაამტკიცებულია ყოვლისმომცველი პოლიტიკა და პროცედურები ბანკის მიერ ყველა მატერიალური საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვისთვის;
- საბჭო კარგად არის ინფორმირებული ბანკის წინაშე მდგარი ყველა საკითხის შესახებ (მოკლე და გრძელვადიანი);
- საბჭოს კომიტეტები შესაბამისად არის შექმნილი;
- კომიტეტების შემადგენლობა და უფლებამოსილება არის შესაბამისი მკაფიოდ განსაზღვრული როლებითა და პასუხისმგებლობებით;
- კომიტეტების მიერ საბჭოს წინაშე რეპორტიინგი არის სათანადოდ უზრუნველყოფილი;
- კომიტეტები იღებენ ეფექტურ და პროაქტიულ ზომებს თავისი ფუნქციების შესასრულებლად;
- კომიტეტის სხდომები სათანადოდ არის ორგანიზებული და შესაბამისი პროცედურები დაცულია;
- კომიტეტების სხდომების ჩატარების სიხშირე ადეკვატურია;
- პერიოდულად კომიტეტები საბჭოს წარუდგენენ ანგარიშს, წინადადებებს და რეკომენდაციებს.

ბანკის დირექტორთა საბჭო

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის დირექტორთა საბჭო შედგებოდა ქვემოთ ჩამოთვლილი წევრებისგან:

- თეა ლორთქიფანიძე - გენერალური დირექტორი,
- სოფიო ჯუღელი - ფინანსური დირექტორი,
- დავით ვერულაშვილი - კომერციული დირექტორი,

- თემურ აბულაძე - რისკების დირექტორი,
- ვახტანგ ხუციშვილი - ოპერაციული დირექტორი.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის ყოველდღიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობასა და მართვზე, მის წევრებს (დირექტორებს) ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არაუმეტეს 4 (ოთხი) წლის ვადით, რომელთა უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ახალი დირექტორების დანიშვნამდე. დირექტორთა საბჭოს წევრის განმეორებითი დანიშვნა შეუზღუდავია. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია გაათავისუფლოს დირექტორი ნებისმიერ დროს.

ბანკის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭებათ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ დირექტორთა საბჭოს წევრებს - დირექტორებს.

გენერალური დირექტორის არყოფნისას, გენერალური დირექტორის სახელით მოქმედების უფლებამოსილება გადაეცემა დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთ წევრს გენერალური დირექტორის მიერ ბანკის სახელით გაცემული მინდობილობის ან სხვა დოკუმენტის საფუძველზე.

ბანკის დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია შემდეგზე:

- წარმართოს და განახორციელოს ბანკის მიმდინარე საქმიანობა;
- წინასწარ განიხილოს ბანკის აქციონერთა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შესატანი ყველა საკითხი, სრულად მოიძიოს სათანადო ინფორმაცია, მოამზადოს წინადადებები და რეკომენდაციები დღის წესრიგის საკითხებთან მიმართებაში;
- ზედამხედველობა გაუწიოს დაკრედიტების, ანგარიშსწორების, დაფინანსების, ნაღდი ფულით მომსახურების, ბანკის ფულადი სახსრებისა და ძვირფასეულობის დაცვას, აღრიცხვასა და ანგარიშგებას, შიდა კონტროლსა და აღრიცხვას; უზრუნველყოს ბანკის მიერ კლიენტებისთვის სათანადო მომსახურების გაწევა და ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის სხვა ძირითად საქმიანობას;
- ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ფუნქციონირებას; უზრუნველყოს ასეთი ფილიალებისა და სერვის-ცენტრების მმართველების მიერ თავიანთი ამოცანებისა და ფუნქციების შესრულება;
- განიხილოს შიდა აუდიტისგან ან გარე შემოწმებით მიღებული ინფორმაცია, ასევე ფილიალების მმართველებისა და სერვის-ცენტრების ხელმძღვანელების მიერ მიწოდებული ანგარიშები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- უზრუნველყოს აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება;
- შეიმუშავოს ბანკის პოლიტიკა, შიდაგანაწესი და ნებისმიერი სხვა სახის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და უზრუნველყოს ასეთი პოლიტიკის, შიდაგანაწესისა და ნებისმიერი სხვა სახის მარეგულირებელი დოკუმენტის შესრულება;
- მიიღოს გადაწყვეტილებები თანამშრომლების შერჩევის, გათავისუფლების, კვალიფიკაციის ამაღლების და ანაზღაურების საკითხებზე;

- გადაწყვეტოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც შესაძლოა სამეთვალყურეო საბჭომ და/ან აქციონერთა საერთო კრებამ დაავალოს დირექტორთა საბჭოს (ან დირექტორთა საბჭოს რომელიმე ერთ წევრს);
- აწარმოოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რაც აუცილებელია ბანკის მიზნებისათვის, გარდა აქციონერთა კრებასა და სამეთვალყურეო საბჭოზე დაკისრებული ფუნქციებისა;

დირექტორთა საბჭოს სხდომა შეიძლება წარიმართოს სატელეფონო ან ვიდეო კონფერენციის საშუალებით.

დირექტორთა საბჭოს წევრმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ განხილვაში ან გადაწყვეტილების მიღებაში ნებისმიერ საგანთან ან გარიგებასთან დაკავშირებით, რომელთან მიმართებით მას აქვს ინტერესთა შეუთავსებლობა (კონფლიქტი).

დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გენერალური დირექტორი სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით. სხდომა მოიწვევა გენერალური დირექტორის ან დირექტორთა საბჭოს სხვა წევრის ინიციატივით. გენერალური დირექტორი ადგენს სხდომის დღის წესრიგს და თავმჯდომარეობს სხდომას. დირექტორთა საბჭოს კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე. დირექტორთა საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან გენერალურ დირექტორს მიმართონ დღის წესრიგში საკითხის დამატების მოთხოვნით.

დირექტორთა საბჭოს წევრების პასუხისმგებლობები

გენერალური დირექტორი - ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭოს. მის უშუალო დაქვემდებარებაში შედის ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის, იურიდიული, კორპორატიული მართვის და რეგულაციებთან შესაბამისობის განყოფილება, ადამიანური რესურსების და პროცესების ადმინისტრირების, ფინანსური მონიტორინგისა და უსაფრთხოების განყოფილებები. ასევე ლიზინგის მიმართულება.

კომერციული დირექტორის პასუხისმგებლობა მოიცავს კორპორატიული საბანკო მომსახურების, მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების, საცალო საბანკო მომსახურების, სატელეფონო მომსახურების ცენტრის, პროდუქტების განვითარების, ავტო სესხების და ფილიალების ქსელის განვითარების განყოფილებების მართვას.

რისკების დირექტორის დაქვემდებარებაშია საკრედიტო რისკების ანალიზის, პორტფელის რისკების ანალიზის, კონტროლინგის, საოპერაციო რისკების და ინფორმაციული უსაფრთხოების განყოფილება, საკრედიტო ადმინისტრირების და პრობლემური სესხების განყოფილებები. ასევე უძრავი და მოძრავი ქონების შეფასების განყოფილება.

ოპერაციული დირექტორის პასუხისმგებლობა მოიცავს ბანკის ანალიზის და რეპორტირების, ოპერაციების, პროექტების მენეჯმენტის და ციფრული ტრანსფორმაციის, საბანკო ბარათების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ლოჯისტიკის, შესყიდვების და დოკუმენტაციის მართვის მიმართულებებს.

ფინანსურ დირექტორს ექვემდებარება ფინანსური აღრიცხვის და ანალიზის, ფინანსური რისკების და ანგარიშგების, ასევე ხაზინის განყოფილებები.

დირექტორთა საბჭოს წევრების კვალიფიკაცია

ბანკის დირექტორთა საბჭო დაკომპლექტებულია სათანადო განათლების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრებით.

გენერალური დირექტორი - თეა ლორთქიფანიძე

გენერალური დირექტორის პოზიციას 2014 წლის მაისიდან იკავებს. მას ფინანსურ ინსტიტუტებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2008-2013 წლებში თიბისი ბანკის რისკების დირექტორის პოზიციაზე მუშაობდა. 2007-2008 წლებში რისკების დირექტორის მოადგილე იყო, 2004-2006 წლებში - თიბისი ლიზინგის გენერალური დირექტორი. სხვადასხვა დროს იყო კრედიტინფო საქართველოს, მიკროსაფინანსო კომპანია „კრედოს“, თიბისი ლიზინგის და უძრავი ქონების მართვის ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, საქართველოს სალიზინგო ასოციაციის პრეზიდენტი. 1993-2003 წლებში თეა სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა თიბისი ბანკში.

1988-1993 წლებში სწავლობდა და დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. 1999-2000 წლებში სწავლა ESM-ის მაგისტრატურაზე განაგრძო, ხოლო 2008-2013 წლებში წარმატებით დაასრულა ამერიკის ბიზნეს ასოციაციის საბანკო სკოლა.

რისკების დირექტორი - თემურ აბულაძე

რისკების დირექტორის პოზიციას იკავებს 2015 წლის იანვრიდან. იგი გუნდს 2014 წლის ნოემბერს შემოუერთდა, როგორც რისკების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. მას აქვს საბანკო და საფინანსო სფეროში მოღვაწეობის 15 წლიანი გამოცდილება. 2009-2014 წლებში ხელმძღვანელობდა ლიბერთი ბანკის საკრედიტო რისკების მართვის მიმართულებას, ხოლო 1999-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს ბანკში საკრედიტო რისკების მართვის სფეროში სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის-საკრედიტო რისკების ანალიტიკოსად(1999-2000წწ), საკრედიტო რისკების ანალიზის განყოფილების უფროსად (2000-2001წწ) და საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ (2001-2006წწ). 2006-2009 წლებში თემური მუშაობდა გეოპრომაინინგის ჯგუფში, რომელიც ფლობდა საწარმოებს სამთო-მომპოვებით სფეროში საქართველოსა (სს მადნეული და შპს კვარციტი) და სომხეთში. 2007-2009 წლებში იგი სს „აგარაკის სპილენძ-მოლიბდენის კომბინატის“ ფინანსური დირექტორი იყო.

ის არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის მაგისტრი.

კომერციული დირექტორი -დავით ვერულაშვილი

დავით ვერულაშვილი ტერაბანკის კომერციული დირექტორის პოზიციაზე 2020 წლის ნოემბერში დაინიშნა. მას საბანკო სფეროში საქმიანობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. დავითის კარიერა 2000 წელს, MBG ბანკში (პროკრედიტ ბანკი) დაიწყო, სადაც იგი ჯგუფის უფროსის, უფროსი სესხის ოფიცრისა და საკრედიტო დეპარტამენტის უფროსის პოზიციებს იკავებდა.

2003 წელს მისი საქმიანობა პროკრედიტ ბანკში გაგრძელდა, ამჯერად იგი ჯერ ცენტრალური ფილიალის საკრედიტო დეპარტამენტის უფროსად, შემდეგ ფილიალის მმართველის მოვალეობის შემსრულებლად მუშაობდა.

2006-2008 წლებში დავით ვერულაშვილი საქართველოს ბანკში, კორპორატიული და საინვესტიციო მიმართულების დირექტორის მოადგილის პოზიციას იკავებდა. შემდეგ მან კვლავ პროკრედიტ ბანკში გადაინაცვლა კორპორატიული დეპარტამენტის ხელმძღვანელად, 1 წლის შემდეგ კი კარიერა უკვე ლიბერთი ბანკში გააგრძელა, სადაც 11 წლის განმავლობაში მუშაობდა: იყო კორპორატიული და სავაჭრო ბანკინგის უფროსის მოადგილე, 2013 წლიდან გენერალური დირექტორის მოადგილე და კორპორატიული საბანკო საქმიანობის დირექტორი.

დავითმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრის ხარისხი 2001 წელს, გამოყენებითი მათემატიკის, ინფორმატიკისა და საწარმოების მენეჯმენტის განხრით მიიღო.

ოპერაციული დირექტორი- ვახტანგ ხუციშვილი

ოპერაციული დირექტორის პოზიციაზე 2014 წლის ოქტომბრიდან დაინიშნა. 2013 წელს მუშაობდა რესპუბლიკა ბანკში ცენტრალური ბექ ოფისის სამსახურის უფროსად, ხოლო 2009-2013 წლებში ლიბერთი ბანკში ხელმძღვანელობდა დაგეგმარებისა და კონტროლის დეპარტამენტს. 2009 წელს ლიბერთი ბანკის საბანკო არხების განვითარების დეპარტამენტს უძღვებოდა. 2005-2008 წლებში მუშაობდა ლიბერთი ბანკის სხვადასხვა დეპარტამენტში წამყვან პოზიციებზე. 2003-2005 წლებში გახლდათ კომპანია „კარდიოექსპრესის“ ფინანსური მენეჯერი.

ის არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის მაგისტრი. 1998-2002 წლებში აგრეთვე სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში და აქვს ორგანიზაციული მენეჯმენტისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ბაკალავრის ხარისხი.

ფინანსური დირექტორი- სოფიო ჯუღელი

ფინანსური დირექტორის პოზიციაზე 2016 წლის 1 აგვისტოს დაინიშნა. იგი გუნდს 2015 წლის 27 აპრილს შემოუერთდა, როგორც ბანკის ფინანსური დირექტორის მოადგილე. მას საქართველოს კომერციულ ბანკებში წამყვან ფინანსურ პოზიციებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. სოფიო 2001 წლიდან იკავებდა თბილისი ბანკის მთავარი ბუღალტრის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კონტროლის განყოფილების უფროსის, ფინანსური დეპარტამენტის უფროსისა და ფინანსური დირექტორის მოადგილის პოზიციებს. იგი ტერაბანკში ხელმძღვანელობს ხაზინის, ფინანსური აღრიცხვის და ანალიზის და ფინანსური რისკებისა და რეპორტინგის განყოფილებებს. აგრეთვე იგი კურიერებს საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობას.

მას აქვს ESM-ის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი. ამასთანავე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მაგისტრი.

ეთიკის კოდექსი

დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და დანერგილია ეთიკის კოდექსი, რომელიც განკუთვნილია ტერაბანკის თანამშრომლებისთვის და მიზნად ისახავს დაარეგულიროს როგორც შიდა, ასევე გარე ბიზნეს ურთიერთობები. ეთიკის კოდექსი ემყარება საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებსა და ბიზნეს ეთიკის ნორმებს. მას საფუძვლად უდევს ბანკის ძირითადი ღირებულებები. კოდექსი შედგება მუხლებისგან, რომლებშიც განმარტებულია თითოეული დასაქმებულის პირადი პასუხისმგებლობა, ასევე ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ყოველდღიური საქმიანობის დროს.

ბანკის ეთიკის კოდექსში აღწერილი მაღალი ეთიკური სტანდარტების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან არაეთიკურმა ქმედებამ შესაძლოა დააზიანოს ბანკის რეპუტაცია ან რიგ შემთხვევებში გამოიწვიოს არასასურველი სასამართლო დავები. ეს შეაფერხებს ბანკის ზრდისა და მომგებიანობის პერსპექტივას, შეამცირებს ფინანსური სერვისების სფეროსადმი ნდობას და შესაძლოა ეკონომიკის ზრდის შეფერხებაც კი გამოიწვიოს.

ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ბანკის პროფესიული, კეთილსინდისიერი და სამართლიანი პოლიტიკის ნაწილს, რომელიც შესაბამისობაშია ბანკის კორპორატიულ კულტურასთან, მოქმედ კანონებთან და ბანკის შიდა რეგულაციებთან. ბანკი თანასწორ და არადისკრიმინაციულ ურთიერთობას ამყარებს თანამშრომლებთან, კლიენტებთან და მესამე მხარესთან, მიუხედავად მათი რასისა, ეროვნებისა, რელიგიისა, მოქალაქეობისა, ოჯახური მდგომარეობისა, სქესისა, სექსუალური ორიენტაციისა, ასაკისა და/ან შეზღუდული უნარებისა. ეთიკის კოდექსი ბანკში დასაქმებულებისგან ითხოვს მაღალი პროფესიული სტანდარტების დაცვას. მათ ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა, რომ იცნობდნენ კანონებს და ბანკის შიდა წესებსა და რეგულაციებს, რომლებიც ეხება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. ყველა დასაქმებული ვალდებულია იზრუნოს ისეთი სამუშაო გარემოს შექმნაზე, რომელიც თავისუფალი იქნება ძალადობისგან, დისკრიმინაციისგან და არაეთიკური ქმედებებისგან. ბანკი აცნობიერებს თითოეული თანამშრომლის ინდივიდუალურობას და მიზნად ისახავს მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. დანერგილია თანამშრომელთა აყვანის, შეფასებისა და დაჯილდოების სისტემა, რომელიც ემყარება თანამშრომელთა კვალიფიკაციას, შედეგებს და დამსახურებებს. ბანკი პატივს სცემს თანამშრომლის პირად ცხოვრებას, სოციალურ მდგომარეობას და რელიგიას.

ეთიკის კოდექსში განსაზღვრული წესების დაცვა ადამიანური რესურსების მართვის და პროცესების ადმინისტრირების განყოფილების პასუხისმგებლობებში შედის. თანამშრომლის მიერ ბანკის ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, მის მიმართ შესაძლოა გატარდეს დისციპლინარული ზომები, მათ შორის სამსახურიდან დათხოვნა.

რისკების მართვა

რისკების მართვა საბანკო ბიზნესისთვის ფუნდამენტურია და ბანკის ოპერირებისთვის აუცილებელი ელემენტების ფორმირებას ახდენს. ბანკის რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას, რისკების სათანადო ზღვრის დაწესებას და კონტროლს, რისკის დონის მუდმივ კონტროლს და ლიმიტების დაცვას. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები გადაიხედება რეგულარულად, რათა მათში აისახოს ცვლილებები საბაზრო პირობებში, რეგულაციებში, შეთავაზებულ პროდუქტებსა და სერვისებში და განვითარდეს საუკეთესო პრაქტიკა. ბანკმა შეიმუშავა ანგარიშგების სისტემა მნიშვნელოვანი რისკებისა და კაპიტალის შესახებ.

ბანკის მიერ იდენტიფიცირებულია და იმართება შემდეგი რისკები:

- **საკრედიტო რისკი** - წარმოიქმნება იმ ალბათობიდან, რომ ფინანსურ ინსტრუმენტში მონაწილე კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და ამის შედეგად, ბანკმა შესაძლოა მიიღოს ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ბანკის სასესხო და სხვა ტიპის ტრანზაქციებიდან.
- **საბაზრო რისკი** - წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების მერყეობისაგან საბაზრო ფასების ზეგავლენით. საბაზრო რისკი შედგება სავალუტო რისკისაგან, საპროცენტო განაკვეთების რისკისაგან და სხვა საფასო რისკებისაგან. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის ღია პოზიციისაგან, რომელიც დაკავშირებულია საერთო და სპეციფიურ ცვლილებებთან ბაზარზე, საბაზრო ფასების და სავალუტო კურსის მერყეობის დონის ცვლილებებთან.
- **ლიკვიდობის რისკი** - წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობებიდან. ამ შეუსაბამობის გამო დეპოზიტის გამოტანისას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას შესაძლოა წარმოშვას საკმარისი ფინანსური რესურსების უკმარისობის რისკი.
- **საოპერაციო რისკი** - წარმოადგენს რისკს, რომ ბანკი მიიღებს ფინანსურ ზარალს სისტემების ჩავარდნისაგან, ადამიანური შეცდომებისაგან, თაღლითობისაგან ან სხვა გარე ზემოქმედებისაგან (მაგ. კიბერ შეტევების რისკი, ა.შ.). ასეთ მოვლენებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ბანკის რეპუტაციას, ნეგატიური გავლენა იქონიონ საზედამხედველო ან სამართლებრივი კუთხით, შეუძლიათ ფინანსური ზარალი მიაყენონ ბანკს.
- **მარეგულირებელი და შესაბამისობის რისკი** - წარმოადგენს რისკს, რომ ბანკი არ/ვერ იმოქმედებს მოქმედი რეგულაციების, კანონების და ხელშეკრულებების შესაბამისად და ამის შედეგად შესაძლოა მიიღოს ფინანსური ზარალი.
- **მაკროეკონომიკური რისკი** - წარმოადგენს რისკს, რომ ქვეყნის, რეგიონის ან გლობალურ დონეზე განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა (მაგალითად, მერყეობა ნედლეულის ბაზრებზე, უმუშევრობის ზრდა, მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორის მშპ-ს კლება, ა.შ.) შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე.
- **რეპუტაციული რისკი** - წარმოადგენს რისკს, რამაც შეიძლება, ბანკისთვის გამოიწვიოს დაინტერესებული მხარეების ან/და საზოგადოების სანდოობის დაკარგვა, ნეგატიურად იმოქმედოს უნარზე - მოიზიდოს და შეინარჩუნოს მომხმარებლები, და ამავდროულად, შექმნას სამართლებრივი კონფლიქტი მარეგულირებელ ნორმებთან.

ამ რისკების მართვისათვის ბანკში შემუშავებულია პოლიტიკები, პროცედურები და დანერგილია მმართველობითი სტრუქტურა მათი აღსრულებისათვის.

სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის ჩარჩოზე, ძირითადი რისკების მეთვალყურეობაზე, რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებზე. სამეთვალყურეო


საბჭო იყენებს შიდა აუდიტის პროცესს რისკების მართვის ჩარჩოს და შესაბამისი პოლიტიკების და პროცედურების შესრულების ზედამხედველობისათვის. სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს, რომ რისკების მიტიგაციის პროცედურები შესაბამისობაში იყოს ბანკის სტრატეგიასთან - მიკრო, მცირე და საშუალო, საცალო სეგმენტებზე ფოკუსირებასთან. სამეთვალყურეო საბჭო მონიტორინგს უწევს რისკების მართვის პროცესს და რისკების პოლიტიკის და პროცედურების მოქმედებას რეგულარული შეხვედრების და რეპორტირების გზით, სადაც ხდება რისკების სხვადასხვა მაჩვენებლების წარდგენა.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია საერთო რისკების კულტურის დანერგვაზე მთელი ბანკის მასშტაბით, რისკის მიტიგაციის ღონისძიებების მონიტორინგსა და დანერგვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი მოქმედებს დადგენილი რისკების პარამეტრების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს, ან მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ამტკიცებს რისკების მართვასთან დაკავშირებულ პოლიტიკებს და პროცედურებს. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების სტრატეგიის ბანკის საერთო სტრატეგიასთან შესაბამისობის მოყვანაზე. დირექტორთა საბჭო მეთვალყურეობას უწევს რისკებთან დაკავშირებულ საკითხებს სხვადასხვა რეპორტების და კომიტეტების მეშვეობით, სადაც ხდება მიღწეული მაჩვენებლების და რისკებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

რისკების დირექტორი პასუხისმგებელია რისკების მართვის და შესაბამისობის საერთო მართვაზე, უზრუნველყოფს როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური რისკების იდენტიფიცირების, გაზომვის, მართვის და ანგარიშგების საერთო მეთოდების შემუშავებას და დანერგვას. ის ექვემდებარება პირდაპირ გენერალურ დირექტორს და არაპირდაპირ - დირექტორთა საბჭოს.

რისკების დირექტორატის გარდა, ბანკის რამდენიმე სხვა განყოფილება ახორციელებს რისკების მართვას მათი საქმიანობის სპეციფიკის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილი სქემა ასახავს რისკების მართვის სტრუქტურას ბანკის მასშტაბით:



დირექტორთა საბჭოს კომიტეტები

ბანკში შექმნილი პოლიტიკების და პროცედურების განხორციელებისათვის, დირექტორთა საბჭოს მიერ შექმნილი შემდეგი კომიტეტები:

საკრედიტო კომიტეტი

ჩართულია ბანკის საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო, კორპორატიული, პირადი საბანკო მომსახურების კლიენტების საკრედიტო ლიმიტების ზედამხედველობაში, მართვასა და დამტკიცებაში. საკრედიტო კომიტეტი შედგება რისკებისა და ბიზნესის შესაბამისი წარმომადგენლებისაგან. სასესიო განაცხადის ინიცირება ხდება ფილიალის/გაყიდვების დონეზე და შემდეგ დასამტკიცებლად გადაეგზავნება შესაბამის საკრედიტო კომიტეტს. ბანკის მიერ შექმნილია საკრედიტო კომიტეტების რამდენიმე დონე, რომელიც პასუხისმგებელია ინდივიდუალური მსესხებლებისთვის საკრედიტო ლიმიტის დამტკიცებაზე.

ყველა ბიზნეს სესხი მტკიცდება შესაბამისი დონის საკრედიტო კომიტეტზე, თანხის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც მოხდება სასესიო განაცხადების ანალიზი. დამტკიცების ლიმიტები მერყეობს ინდივიდუალური რისკ მენეჯერის დონიდან კომიტეტამდე, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და ესწრებიან მენეჯმენტის წარმომადგენლები.

საცალო სესხებისათვის, მხოლოდ ის სესხები, რომელთა თანხა ნაკლებია 30,000 ლარზე და აკმაყოფილებენ საკრედიტო რისკების და პორტფელური ანალიზის განყოფილების მიერ წინასწარ დადგენილ პირობებს, მტკიცდება ფილიალების დონეზე. ბიზნეს სესხებისათვის, მხოლოდ ის სესხები, რომელთა თანხა ნაკლებია 10,000 ლარზე შესაძლოა დამტკიცდეს ფილიალის დონეზე. ყველა სხვა განაცხადი იგზავნება შესაბამის საკრედიტო კომიტეტზე.

ზოგიერთ შემთხვევაში სესხი/საკრედიტო ლიმიტი უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოზე- თუ მსესხებელი არის დაკავშირებული პირი (ინსაიდერი) ან სესხის/საკრედიტო ლიმიტის პირობები განსხვავდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორთა საბჭოსათვის დელეგირებული პირობებისაგან.

დამტკიცების ლიმიტების გადახედვა ხდება წელიწადში ერთხელ და ხდება მათი ცვლილება, თუ ეს საჭიროა.

აქტივებისა და პასივების კომიტეტი ჩართულია საბაზრო რისკის, ლიკვიდობის რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის, კაპიტალის რისკის მართვასა და ზედამხედველობაში. აქტივებისა და პასივების კომიტეტი აწესებს და ზედამხედველობას უწევს შიდა და გარე ლიკვიდობის მაჩვენებლებს, გეგმავს საპროგნოზო ფულად ნაკადებს, აქტივების მოსალოდნელი ზრდისა და მომგებიანობის შესაბამისად აპროგნოზებს კაპიტალის ადეკვატურობას, აწესებს ლიმიტებს საპროცენტო რისკების, სავალუტო რისკების, საბაზრო რისკების მართვისათვის. აქტივებისა და პასივების კომიტეტი შედგება, ფინანსური რისკებისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსისაგან, ბანკის ბიზნეს მიმართულებების უფროსისაგან და ბანკის უმაღლესი მენეჯმენტისაგან. აქტივებისა და პასივების კომიტეტის შეხვედრები რეგულარულად იმართება.

საოპერაციო რისკების კომიტეტი ჩართულია საოპერაციო რისკების მართვასა და ზედამხედველობაში. ის აწესებს ჩარჩოს საოპერაციო რისკების მართვისათვის, აწესებს კონტროლის მექანიზმებს უფლებების ეფექტური განაწილებისათვის, დაშვების, ავტორიზაციის, გადამოწმების პროცედურებს, თანამშრომელთა სწავლების და შეფასების პროცედურებს, შიდა აუდიტის გამოყენების წესებს.

საოპერაციო რისკების კომიტეტი შედგება საოპერაციო რისკების განყოფილების თანამშრომლებისაგან და დირექტორთა საბჭოს წევრებისაგან.

ამ კომიტეტების გარდა, დირექტორთა საბჭო ატარებს შეხვედრებს რისკებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე, სადაც ხდება საკითხების განხილვა საერთო, პროდუქტის ან ცალკეული ბიზნეს სეგმენტის დონეზე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების კომიტეტი- შედგება დირექტორთა საბჭოს წევრების, პროექტების მენეჯმენტის და საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების თანამშრომლებისგან. ჩართულია ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ან მასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებაში.

რისკების მიტიგაციის სტრუქტურა

ბანკის მიერ შექმნილია სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც უზრუნველყოფენ რისკების პოლიტიკებსა და პროცედურებთან შესაბამისობას და მათ დანერგვას. ეს ერთეულებია: საკრედიტო რისკების და პორტფელური ანალიზის განყოფილება, საოპერაციო რისკების განყოფილება, კონტროლინგის განყოფილება, პრობლემური აქტივების მართვის განყოფილება, ხაზინის განყოფილება, ფინანსური რისკებისა და ანგარიშგების განყოფილება, იურიდიული და შესაბამისის განყოფილება, ფინანსური მონიტორინგის განყოფილება. იურიდიული და შესაბამისის განყოფილება და ფინანსური მონიტორინგის განყოფილება ექვემდებარებიან გენერალურ დირექტორს, საკრედიტო რისკების და პორტფელური ანალიზის განყოფილება, საოპერაციო რისკების განყოფილება, კონტროლინგის განყოფილება და პრობლემური აქტივების მართვის განყოფილება ექვემდებარებიან რისკების დირექტორს, ხაზინის განყოფილება და ფინანსური რისკებისა და ანგარიშგების განყოფილება ექვემდებარებიან ფინანსურ დირექტორს. თითოეული ეს ერთეული ფოკუსირებულია მისი საქმიანობისათვის სპეციფიური რისკების მიტიგაციაზე.

- **იურიდიული, კორპორატიული მართვის და რეგულაციებთან შესაბამისობის განყოფილება** ჩართულია ბანკის სამართლებრივი რისკის მიტიგაციის პროცესში. როგორც სამართლებრივ პროცესებში მონაწილეობის მხრივ, ასევე შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავების პროცესში, რათა ბანკი იყოს შესაბამისობაში, ყველა სამართლებრივ და საზედამხედველო რეგულაციასთან მიმართებით.
- **ფინანსური მონიტორინგის განყოფილება** ჩართულია კლიენტებისა და მათი ტრანზაქციების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით არსებული რისკების მიტიგაციის პროცესებში. აგრეთვე, უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას საზედამხედველო მოთხოვნებსა და საერთაშორისო ნორმებთან დაკავშირებით.
- **ხაზინის განყოფილება** მართავს ბანკის ღია სავალუტო პოზიციას, ლიკვიდობის, საბაზრო და საპროცენტო რისკებს. თითოეულის მიტიგაციისთვის იყენებს შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტებსა და ლიმიტებს.
- **ფინანსური რისკებისა და ანგარიშგების განყოფილება** მართავს სხვადასხვა ფინანსურ რისკს, მონიტორინგს უწევს და უზრუნველყოფს ანგარიშგების წარმოებას სხვადასხვა ტიპის ფინანსური რისკის მართვის მიზნით.
- **საკრედიტო რისკების ანალიზის განყოფილება** განყოფილება აკონტროლებს და ახდენს კრედიტებთან დაკავშირებული რისკების მიტიგაციას, სხვადასხვა არაფინანსურ მხარეებთან, ეხმარება მენეჯმენტს კრედიტებთან დაკავშირებული უწყისების მომზადებით.

- **პორტფელური რისკების ანალიზის განყოფილება** ქმნის სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვებს, ამზადებს სხვადასხვა ტიპის ანგარიშგებებს მენეჯმენტისთვის, ამზადებს საკრედიტო რისკების ბიუჯეტს, სხვადასხვა სახის სტრესტესტებს.
- **საოპერაციო რისკების განყოფილება** ყოველდღიურად აკვირდება ოპერაციებთან დაკავშირებულ რისკებს, ახდენს ბანკში საოპერაციო რისკების კომიტეტისა და შესაბამისი პოლიტიკების მიხედვით დადგენილი წესებისა და პროცედურების დანერგვას.
- **ინფორმაციული უსაფრთხოების განყოფილება** ყოველდღიურად აკონტროლებს ბანკის IT სისტემებთან და მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს, ახორციელებს ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტისა და დამტკიცებული პოლიტიკების შესაბამისად დადგენილი წესებისა და პროცედურების დანერგვასა და მონიტორინგს.
- **კონტროლინგის განყოფილება** აკონტროლებს ბანკის შესაბამისობას საკრედიტო რისკების პოლიტიკებსა და პროცედურებთან. გამოთქვამს დამოუკიდებელ მოსაზრებას, მენეჯმენტის, საკრედიტო კომიტეტისა და საკრედიტო რისკებისა და პორტფელის ანალიზის განყოფილების მიერ შემუშავებული რისკების მიტიგაციის ფაქტორებთან დაკავშირებით.
- **პრობლემური აქტივების მართვის განყოფილება** მართავს ბანკის მაღალ რისკიან აქტივებს და უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების მიტიგაციას აქტივების აქტიურად მართვით. უზრუნველყოფს სამომხმარებლო სეგმენტში ბანკის შესაბამისობას საკრედიტო და სხვა პოლიტიკებთან, ასევე, შესაბამის სამართლებრივ ნორმებთან.

საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკების მიტიგაციისათვის ბანკის მიერ დანერგილია პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც ფოკუსირებულია ცალკეული რისკებზე:

- ბანკს აქვს შემოღებული ლიმიტები რომლებიც მართავენ რისკებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ დონეზე (მაქსიმალური ლიმიტები ერთ მსესხებელზე და ერთ დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე), სექტორულ დონეზე (ცალკეული სექტორებისათვის დაწესებულია მაქსიმალური ლიმიტები, ეს ლიმიტები დაკავშირებულია ბანკის კაპიტალთან და პორტფელის მოცულობასთან), პროდუქტის დონეზე (ცალკეული პროდუქტებზე დაწესებულია მაქსიმალური ლიმიტები ლარებში). აღნიშნული ლიმიტები დაწესებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ, საკრედიტო რისკებისა და პორტფელური ანალიზის დეპარტამენტი ახორციელებს მათ მონიტორინგს. აღნიშნული ლიმიტები არის დამატებითი რეგულატორულ ლიმიტებზე, რომლებთან შესაბამისობაც აუცილებელია. ლიმიტების გადახედვა ხდება პერიოდულად, მაგრამ მინიმუმ წელიწადში ერთხელ.
- საკრედიტო რისკების მიტიგაციისათვის ბანკი იყენებს უზრუნველყოფას. უზრუნველყოფის შეფასების, გაფორმების და მონიტორინგისათვის შექმნილია შესაბამისი პროცედურები და პოლიტიკები. ბანკისათვის მისაღებია შემდეგი ტიპის უზრუნველყოფები: საცხოვრებელი უძრავი ქონება, კომერციული უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთები, მანქანები და მოწყობილობები, ავტომობილები, კორპორატიული და პირადი თავდებობები, გარანტიები ფინანსური ინსტიტუტებიდან, დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები, მვირფასი ლითონები. უზრუნველყოფის თითოეული ტიპისათვის დაწესებულია სპეციფიური დისკონტის განაკვეთი, შეფასების სპეციფიკაციები, მონიტორინგის პროცედურები. როგორც წესი, შეფასება ხორციელდება ბანკის პროფესიონალი შიდა შემფასებლების მიერ, თუმცა შესაძლებელია ცალკეული აღიარებული გარე კომპანიების გამოყენება.
- უზრუნველყოფების გადაფასება ხდება პერიოდულად, მათი ტიპის და სესხის სტატუსის შესაბამისად, უფრო მაღალი რისკის მქონე სესხებისათვის გადაფასება ხდება უფრო ხშირად.

გადაფასების პროცესი წარიმართება საკრედიტო რისკების და პორტფელური ანალიზის განყოფილების სპეციალიზირებული ჯგუფის მიერ.

- ბანკის მიერ ამჟამად არ გამოიყენება შიდა საკრედიტო მოდელები. კრედიტ ინფო საქართველოს საკრედიტო რეიტინგები გამოიყენება სესხის დამტკიცების პროცესში, ძირითადად საცალო სესხების კუთხით. საერთაშორისო საკრედიტო სააგენტოების (Fitch, Moody's და Standard and Poors) საკრედიტო ხარისხის შეფასება გამოიყენება ბანკების პირობითი და უპირობო მოთხოვნების საკრედიტო რისკების განსაზღვრისას.
- რისკების მიტიგაციის ფარგლებში და რეგულატორული მოთხოვნების შესაბამისად, ბანკი ატარებს სტრეს-ტესტებს თავის აქტივებზე (საკრედიტო ლიმიტები, ღია სავალუტო პოზიცია, აქტივების გაუფასურება, ა.შ.) სეზონის მიერ მოწოდებული სცენარების შესაბამისად. ამ სტრეს-ტესტების საშუალებით, ბანკი განსაზღვრავს სავარაუდო დანაკარგებს, რის წინაშეც დადგება სხვადასხვა მაკროეკონომიკური ფაქტორის გაუარესების შემთხვევაში. სცენარები ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს: აშშ დოლართან მიმართებით ეროვნული ვალუტის გაუფასურება, საპროცენტო განაკვეთის შემცირება, საოპერაციო ხარჯების ზრდა, საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესება, უძრავი ქონების ფასის შემცირება ბაზარზე. გაწერილი პარამეტრების მიხედვით განისაზღვრება ლიკვიდობის პოზიციის შესაძლო ცვლილებები და მოგება-ზარალზე სავარაუდო ეფექტი, რაც საბოლოოდ კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელში აისახება. სტრეს-ტესტების შედეგების განხილვა ხდება დირექტორთა საბჭოს მიერ.
- 2018 წლის 1-ლი იანვრიდან ბანკმა შეიმუშავა სესხების რეზერვირების ახალი პოლიტიკა, რომელიც პასუხობს ფასს 9-ის მოთხოვნებს. ახალი მოდელის შექმნა განხორციელდა გარე კონსულტანტების დახმარებით (KPMG). ახალი მოდელი წინა მოდელთან შედარებით უფრო დახვეწილია. ბანკი ახდენს Expected Credit Loss-ის გამოთვლას შემდეგი კომპონენტების გამოყენებით: Probability of Default, Exposure at Default, Loss Given Default. ახალი მოდელი ასევე საშუალებას იძლევა, რომ Expected Credit Loss-ის გამოთვლისას მოხდეს მაკროეკონომიკური სცენარების გამოყენება. პერიოდულად ხდება მეთოდოლოგიის კორექტირება, რათა სესხების რეზერვებმა უკეთ ასახოს საკრედიტო პორტფელის რისკის დონე.
- რისკების რეპორტირება ხდება საკრედიტო რისკების და პორტფელური ანალიზის განყოფილების შესაბამისი ერთეულის მიერ. ეს მოიცავს პერიოდულ რეპორტირებს სამეთვალყურეო საბჭოსთან და დირექტორთა საბჭოსთან, სადაც ხდება სხვადასხვა რისკების მაჩვენებლების პრეზენტაცია და განხილვა, ასევე დამატებითი რეპორტირება რისკებთან დაკავშირებულ საკითხებზე. რისკ რეპორტირების პროცესი ხდება ბანკის სხვა განყოფილებებთან თანამშრომლობით.

საოპერაციო რისკის მართვა

საოპერაციო რისკი განისაზღვრება როგორც ზარალის რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას შიდა პროცესების, ადამიანური ქმედებების ან სისტემების არასათანადო ან წარუმატებელი ფუნქციონირების, აგრეთვე გარე მოვლენების შედეგად. აღნიშნული განსაზღვრება მოიცავს თაღლითობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების, სამართლებრივ, რეპუტაციულ და აუთორიტეტთან დაკავშირებულ რისკებს.

ბანკში მოქმედებს **საოპერაციო რისკების მართვის პოლიტიკა**, რომელიც ეფუძნება სტანდარტიზებული მიდგომის მოთხოვნებს და შეესაბამება როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებს. პოლიტიკის მიზანია საოპერაციო რისკების ადრეული იდენტიფიცირება, მათი მიზეზების ანალიზი და განმეორებითი ზარალის თავიდან აცილება.

საოპერაციო რისკების მართვის ძირითადი ინსტრუმენტებია:

- **ინციდენტების ბაზა** – ბანკი სისტემატურად აღრიცხავს საოპერაციო რისკებთან დაკავშირებულ ყველა ინციდენტს, ახორციელებს მათ ანალიზს და შემდგომ იყენებს ამ მონაცემებს პრევენციული ზომების დასაგეგმად.
- **რისკების ძირითადი მაჩვენებლები (Key Risk Indicators – KRI)** – ხელს უწყობს რისკის ტენდენციების მონიტორინგს და პოტენციური რისკების ადრეულ გამოვლენას.
- **ახალი პროდუქტებისა და პროცესების ანალიზი** – ბანკი ახორციელებს ახალი მომსახურებებისა და პროცესების წინასწარ შეფასებას, რისკების იდენტიფიცირებისა და თავიდან აცილების მიზნით.

საოპერაციო რისკების მიტიგაციის მიზნით, ბანკში დანერგილია პოლიტიკები, პროცედურები და კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ფოკუსირებულია სხვადასხვა ტიპის საოპერაციო რისკზე:

- ფუნქციონირებს **საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო**, რომელიც მოიცავს რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მონიტორინგისა და რეაგირების სრულ ციკლს. პროცესს კოორდინაციას უწევს საოპერაციო რისკების მართვის განყოფილება.
- ბანკი ატარებს **რისკებისა და კონტროლის თვით შეფასებას (RCSA)**, რომლის ფარგლებშიც განყოფილებები აფასებენ საკუთარ რისკებს და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების ეფექტურობას. შეფასება როგორც წესი, ხდება წელიწადში ერთხელ ან მნიშვნელოვანი საოპერაციო ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში.
- დანერგილია საინფორმაციო უსაფრთხოების სტანდარტები, რაც მოიცავს წვდომების კონტროლს, მონაცემთა დაცვას, შიდა სისტემების სეგმენტაციას და აუდიტს. ხორციელდება უსაფრთხოების ტესტირება როგორც შიდა, ასევე გარე ფორმატში.
- თანამშრომლებისთვის ტარდება საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული რეგულარული ტრენინგები, რაც მოიცავს სხვადასხვა ინციდენტების აღრიცხვისა და შეტყობინების პროცედურების გაცნობას და რისკების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.
- საოპერაციო რისკების მონიტორინგი და რეპორტირება ხორციელდება შესაბამისი განყოფილების მიერ, რომელიც ამზადებს პერიოდულ ანგარიშს დირექტორთა საბჭოს შესაბამის კომიტეტთან წარსადგენად.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. აქ იგულისხმება ფულის იმ საჭირო ოდენობის არსებობა, რომელიც დააკმაყოფილებს დეპოზიტარების თანხების გატანას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებებს მათი ვადის დადგომის შემთხვევაში. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ფინანსური დაწესებულებების მართვისთვის.

ლიკვიდობის რისკის სამართავად, ბანკი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებსა და საბანკო ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის შემადგენელ ნაწილს. რისკის მართვა ხორციელდება ფინანსური რისკების და ანგარიშგების განყოფილების, ასევე სახაზინო დეპარტამენტის მიერ. დამტკიცებული ლიკვიდობის რისკის მართვის ჩარჩო იძლევა იმის გარანტიას, რომ ბანკი შეასრულებს საგადახდო პასუხისმგებლობებს როგორც ტიპურ, ისე სტრესულ სცენარებში.

ბანკის ლიკვიდობის მართვა მოიცავს შემდეგს:

- ფულადი ნაკადების პროგნოზირება და ლიკვიდური აქტივების საკმარისი დონის შენარჩუნება დროის სხვადასხვა მონაკვეთში ბანკის ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად;
- ბანკის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისი დაფინანსების გეგმის შენარჩუნება;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას და ამით როგორც ქვეყნის შიდა, ისე უცხოური წყაროებიდან ბანკის მიერ სესხების მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესება;
- მაღალი ლიკვიდურობისა და მაღალი ხარისხის აქტივების შენარჩუნება;
- პროდუქტების ბაზის ცვლილება დროის შუალედში დაფინანსების არსებული წყაროების შესაბამისად;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების ყოველდღიური მონიტორინგი მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; და
- დროის ნებისმიერ შუალედში აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის მუდმივი მონიტორინგი.

ბანკის ფინანსური რისკების მართვისა და სახაზინო ფუნქციები მოიცავს შემდეგ პასუხისმგებლობებს:

- სებ-ის ლიკვიდურობის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე შესაბამისობა ლიკვიდურობის მოთხოვნების იმ მუხლებთან, რომლებიც შედის უცხოურ კრედიტორებთან დადებულ ხელშეკრულებებში;
- ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველდღიური ანგარიში, მათ შორის ხელმძღვანელობის ინფორმირება ძირითადი ვალუტების (ლარი, აშშ დოლარი, ევრო) ლიკვიდურობის დონის, ნაღდი ფულის პოზიციის შესახებ;
- ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველკვირეული ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზის შესახებ ძირითად ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);
- ლიკვიდური აქტივების დონის მუდმივი კონტროლი/მონიტორინგი;
- დეპოზიტებისა და სხვა ვალდებულებების კონცენტრაციის მონიტორინგი; და
- სტრესულ ვითარებაში ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით ფულადი სახსრების სწრაფად გაზრდის გეგმის არსებობა.

ბანკი აფასებს და ზედამხედველობას უწევს ლიკვიდურობის პოზიციას ცალკე აღებული კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია სებ-ს მიერ. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი პასუხს აგებს იმის უზრუნველყოფაზე, რომ ფინანსური რისკების და რეპორტირების განყოფილება სახაზინო განყოფილებასთან ერთად სათანადოდ მართავს ბანკის ლიკვიდურობის პოზიციას. ლიკვიდურობის რისკის პოზიციასთან და მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი.

საზედამხედველო კაპიტალი

კაპიტალის ადეკვატურობა არის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი ბანკის სტაბილურობის განსაზღვრისთვის. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტზე ბანკი მუდმივად განიხილავს კაპიტალის მოთხოვნასთან ფაქტიური მონაცემების შესაბამისობას.

საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნა დგება „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დებულების“ შესაბამისად, მინიმალური მოთხოვნებისა და პილარ 2-ის მოთხოვნების გათვალისწინებით.

2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის მოთხოვნა როგორც პირველად ასევე ჯამურ საზედამხედველო კაპიტალზე არის შემდეგი:

მინიმალური მოთხოვნები		კოეფიციენტები	თანხა (ლარი)
1	პილარ 1-ის მოთხოვნები		
1.1	ძირითადი პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	4.50%	79,379,773
1.2	პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	6.00%	105,839,698
1.3	საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	8.00%	141,119,597
2	კომბინირებული ბუფერი		
2.1	კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი	2.50%	44,099,874
2.2	კონტრციკლური ბუფერი	0.50%	8,819,975
2.3	სისტემური რისკის ბუფერი	0.00%	-
3	პილარ 2-ის მოთხოვნა*		
3.1	პილარ 2-ის მოთხოვნა ძირითად პირველად კაპიტალზე	5.77%	101,808,573
3.2	პილარ 2-ის მოთხოვნა პირველად კაპიტალზე	6.67%	117,599,919
3.3	პილარ 2-ის მოთხოვნა საზედამხედველო კაპიტალზე	7.84%	138,378,006
ჯამური მოთხოვნები		კოეფიციენტები	თანხა (ლარი)
4	ძირითადი პირველადი კაპიტალი	13.27%	234,108,195
5	პირველადი კაპიტალი	15.67%	276,359,465
6	საზედამხედველო კაპიტალი	18.84%	332,417,451

ბანკი მუდმივად იცავს მინიმალურ მოთხოვნებს:

		12/31/2025	9/30/2025	6/30/2025	3/31/2025	12/31/2024
	საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)					
	ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
1	ძირითადი პირველადი კაპიტალი	272,735,614	259,056,048	262,427,424	256,803,573	250,959,145
2	პირველადი კაპიტალი	307,771,914	294,270,448	297,834,224	292,778,473	287,447,545
3	საზედამხედველო კაპიტალი	379,066,782	365,749,289	336,715,805	333,946,552	329,887,381
	რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (მოცულობა, ლარი)					
4	რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	1,763,994,962	1,693,208,946	1,695,557,732	1,662,078,919	1,608,765,696
	კაპიტალის კოეფიციენტები					
	ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
5	ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	15.46%	15.30%	15.48%	15.45%	15.60%
6	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	17.45%	17.38%	17.57%	17.62%	17.87%
7	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	21.49%	21.60%	19.86%	20.09%	20.51%

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკები (ESG)

ტერაბანკის სტრატეგიული მიმართულებაა მხარი დაუჭიროს პარიზის შეთანხმების მიზნებს და ხელი შეუწყოს საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილისა (NDC) და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევას.

ტერაბანკი აცნობიერებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების მნიშვნელობას. ESG-ს სტანდარტების დაცვით, ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ მნიშვნელოვან პოზიტიურ ზემოქმედებას გარემოზე. სწორედ ამ მიზნით, ნებისმიერი კომერციული ტრანზაქციის განხორციელებისას, ტერაბანკი პირველ რიგში რწმუნდება, რომ მომხმარებლის საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია ადგილობრივ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და შრომით რეგულაციებსა და სტანდარტებთან. მომდევნო ეტაპზე ბანკში არსებული ESG პოლიტიკის მიხედვით, მომხმარებლის საქმიანობა მოწმდება ე.წ. „აკრძალული საქმიანობების სიაში“. ამ ეტაპის გავლის შემდეგ ტრანზაქციას ენიჭება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორია.

პროცედურები მოიცავს და ითვალისწინებს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა (IFC) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

კატეგორიის მინიჭების შესაბამისად, ბანკი ახდენს რისკების ანალიზს. ანალიზი შეიძლება ჩატარდეს როგორც შიდა რესურსებით, ასევე გარე რესურსებით (კონსულტანტები). ბანკის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური რეიტინგი ინტეგრირებულია საკრედიტო პროცესში, სადაც საკრედიტო გადაწყვეტილება მოიცავს კლიენტის ESG რისკების პროფილის შეფასებას და ეს შეფასება გავლენას ახდენს საბოლოო შედეგზე (საკრედიტო გადაწყვეტილებაზე).

დამატებით, ტერაბანკის მიერ გამოყოფილია რამდენიმე დარგი და საქმიანობა, სადაც საკრედიტო აქტივობა ან აკრძალულია ან შეზღუდული.

ტერაბანკის მიზნობრივ სეგმენტს SME და მიკრო სესხები წარმოადგენს. თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, ამ სეგმენტში მოქმედი კლიენტები ძირითადად არიან მცირე, დაბალი ESG რისკების მქონე კლიენტები, რომლებიც იმართებიან ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკა-პროცედურების დახმარებით.

2024 წლიდან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით ტერაბანკმა შეიმუშავა კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვის პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი და ასევე, მწვანე დაფინანსების მეთოდოლოგია და პროცედურა, რომლის ინტეგრირებასაც ეტაპობრივად ახდენს ბიზნეს სტრატეგიაში. 2026 წლიდან ბანკი აქტიურად იმუშავებს მწვანე დაკრედიტების შესაძლებლობებისა და ინვესტიციების გაფართოებაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებთან შესაბამისობას, კლიმატის რისკებისა და შესაძლებლობების შეფასების, სათბური აირების ემისიის გამოთვლის მეთოდოლოგიების დადგენის და კლიმატის ამბიციისა და გარდამავალი ბერკეტების განსაზღვრის გზით, რათა ბანკმა მიაღწიოს პარიზის შეთანხმებით განსაზღვრულ ბიზნეს მოდელს და ოპერაციებს.

2024 წელს ბანკმა დაიწყო ESG-ს მმართველობითი სტრუქტურის ფორმირება სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) სტრუქტურის გაძლიერება განამტკიცებს ჩვენს პასუხისმგებლობას, გრძელვადიანი, მდგრადი წვლილი შევიტანოთ ქვეყანაში ამ მიმართულებით. ჩვენი მიზანია მდგრად დაკრედიტებაზე, მომსახურებასა და

პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის დანერგვისა და განხორციელების გზით;

ტერაბანკის ESG სტრატეგია მოიცავს ენერგოეფექტური, განახლებადი ენერჯისა და ქალების მიერ მართული და ქალების საკუთრებაში არსებული საწარმოების, სტარტაპ კომპანიებისა და სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის დაფინანსებას. სწორედ ამიტომ, ბანკი თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, როგორცაა FMO, EIB, World Bank, DEG როგორც რესურსების მოზიდვის კუთხით, ასევე ტექნიკური დახმარების პროგრამების მიმართულებითაც.

ანაზღაურების პოლიტიკა

ანაზღაურების სისტემა მოიცავს საქმიანობის შესაბამისად ანაზღაურების გარკვეულ ფორმებს და მათ კომბინაციებს, მათ შორის: ა) ფიქსირებული ანაზღაურება, ბ) ცვალებადი ანაზღაურება (ბონუსი); გ) გარანტირებული ცვალებადი ანაზღაურება კორპორაციული მართვის კოდექსით დადგნილი მოთხოვნების გათვალისწინებით; ანაზღაურება გაიცემა ფულადი ფორმით.

ბანკში თანამშრომლის ფიქსირებული ანაზღაურება შეადგენს ანაზღაურების ძირითად ნაწილს, ასახავს შესაბამის პროფესიულ გამოცდილებასა და ორგანიზაციულ პასუხისმგებლობას, რაც თავის მხრივ, განისაზღვრება თანამშრომლის სამუშაო აღწერილობაში, როგორც დასაქმების ნაწილი. ფიქსირებული ანაზღაურების ფულად ექვივალენტში გამოხატული მოცულობა არის წინასწარ განსაზღვრული და უცვლელი, არ არის დამოკიდებული საქმიანობის მაჩვენებლებზე, არ ახალისებს რისკიან საქმიანობას და ბანკს არ შეუძლია მისი შემცირება ან/და გაუქმება. თანამშრომლის (გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა) ფიქსირებული ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

ცვალებადი ანაზღაურება (ბონუსი) არის თანამშრომლის დამატებითი სარგებელი. ცვალებადი ანაზღაურების გაცემის პირობები და ოდენობა წარმოადგენს ბანკის სრულ დისკრეციას. ცვალებადი ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია როგორც ბანკის, ისე თანამშრომლის ინდივიდუალურ შედეგებზე. ნებისმიერი ანაზღაურება, რომელიც არ აკმაყოფილებს ფიქსირებული ანაზღაურების კრიტერიუმებს, ჩაითვლება ცვალებად ანაზღაურებად; ცვალებადი ანაზღაურების დაწესებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ამჟამინდელი და სამომავლო რისკების სრული სურათი. საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ცვალებადი ანაზღაურება დამოკიდებულია ბანკის ზოგად ფინანსურ მდგომარეობაზე და ბანკის, ისევე როგორც შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისა და თანამშრომლის მიერ მიღწეულ შედეგზე. ბანკი ნებისმიერ დროს არის უფლებამოსილი საზედამხედველო კაპიტალის აკუმულირების მიზნით, სრულად ან ნაწილობრივ არ მიანიჭოს ან/და არ მიაკუთვნოს წარსულში მინიჭებული და გადავადებული ცვალებადი ანაზღაურება.

განსაზღვრულია დამატებითი პირობები ბანკის მატერიალური რისკის ამღები პირების ანაზღაურებისთვის. ბანკის მატერიალური რისკის ამღებ პირებს მიეკუთვნებიან ის პირები რომელთა პროფესიულ საქმიანობას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ბანკის რისკის პროფილზე. ბანკის თანამშრომელი ითვლება ბანკის რისკის პროფილზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონედ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა რომელიმე ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი ხარისხობრივი ან/და რაოდენობრივი მახასიათებელი:

ხარისხობრივი მახასიათებლები:

- ა) თანამშრომელი არის დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
- ბ) თანამშრომელს აქვს მმართველობითი პასუხისმგებლობა ბანკის კონტროლის ფუნქციებზე,
- გ) თანამშრომელს აქვს მმართველობითი პასუხისმგებლობა ბანკის მნიშვნელოვან ბიზნეს ერთეულზე;
- დ) თანამშრომელს აქვს მმართველობითი პასუხისმგებლობა იურიდიული, საგადასახადო, ადამიანური რესურსების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინფორმაციული უსაფრთხოების, ბიუჯეტების, კრიტიკული ფუნქციების აუთოსორსინგის, ანაზღაურების პოლიტიკის შემუშავების ან განხორციელების, ეკონომიკური ანალიზისა და ბიზნესის უწყვეტობის გეგმის მიმართულებით;
- ე) თანამშრომელს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად აქვს უფლებამოსილება, დამოუკიდებლად განახორციელოს საკრედიტო რისკის მქონე ტრანზაქცია, რომლის ნომინალური ღირებულებაც აღემატება ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის 0,5%-ს;
- ვ) თანამშრომელი ხელმძღვანელობს წინა ქვეკუნიტით განსაზღვრულ პერსონალს;
- ზ) თანამშრომელს შეუძლია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად დაამტკიცოს ან ვეტო დაადოს ახალ პროდუქტებს, მატერიალურ პროცესებს ან მატერიალურ სისტემებს;

რაოდენობრივი მახასიათებლები:

- ა) თანამშრომელი, რომლის ანაზღაურება აღემატება დირექტორთა საბჭოს წევრის მინიმალური ანაზღაურების მქონე წევრის ანაზღაურებას;
- ბ) თანამშრომელი, რომლის წლიური ანაზღაურება აღემატება 500,000 ლარს; ან
- გ) თანამშრომელი, რომლის ანაზღაურება ექვევს ბანკში ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონეთა 0.3%-ში;

„მნიშვნელოვან ბიზნეს ერთეულად“ მიიჩნევა ხაზინის განყოფილება, საცალო, SME და კორპორატიული მიმართულებები.

კონტროლის ფუნქცია გულისხმობს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს საკრედიტო ან საოპერაციო რისკის მართვას, კონტროლინგის, შესაბამისობის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან აცილების (AML) შიდა აუდიტის ფუნქციის განხორციელებას;

მატერიალური რისკების ამდები პირების როგორც ფიქსირებული ისე ცვალებადი ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. საქმიანობის შეფასების ძირითადი ინდიკატორები (KPI) განისაზღვრება ყოველწლიურად, ბანკის წლიური ბიუჯეტის დამტკიცებასთან ერთად, თუ სამეთვალყურეო საბჭო სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

მატერიალური რისკი ამდები პირების (სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გარდა) ანაზღაურების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პრინციპი - ცვალებადი ანაზღაურების გადავადების ხანგრძლივობა დამოკიდებული უნდა იყოს პირის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების რეალიზების პერიოდზე. ამასთან, წლიური ცვალებადი ანაზღაურების არანაკლებ 40%-ის, ხოლო ისეთი პირების შემთხვევაში, რომელთა წლიური ცვალებადი ანაზღაურება მატერიალური მოცულობისაა (აღემატება წლიური ფიქსირებული ანაზღაურების 100%-ს ან/და აღემატება 500,000 ლარს ან მის ექვივალენტს), არანაკლებ 60%-ის, გადახდა გადავადებული უნდა იყოს მინიმუმ, 3 წელი. აღნიშნული არ ეხება იმ შემთხვევას, როცა ცვალებადი ანაზღაურება არამატერიალური მოცულობისაა (არ აღემატება წლიური ფიქსირებული ანაზღაურების 20%).

გადავადებული ცვალებადი ანაზღაურების გადახდა ან/და მიკუთვნება შესაძლებელია ერთბაშად გადავადების პერიოდის დასრულებისთანავე ან გადავადების პერიოდის მანძილზე თანაბარი პროპორციულობით. ამასთან, პროპორციულად გადახდის შემთხვევაში, გადავადებული ცვალებადი ანაზღაურების პირველი ნაწილის გადახდა შესაძლებელია მოხდეს გადავადების პერიოდის

დაწყებიდან არაუადრეს ერთი წლისა და მომდევნო გადახდები არ უნდა გაიცეს 12 თვეზე უფრო მეტი სიხშირით.

ცვალებადი ანაზღაურების მაქსიმალური კოეფიციენტი (ყველა ცვალებადი ანაზღაურების ჯამური მოცულობა) მატერიალური რისკის ამღებ პირთათვის, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა, არ უნდა აჭარბებდეს მათი წლიური ანაზღაურების ფიქსირებული კომპონენტის 100%-ს. გამონაკლის შემთხვევაში, საკმარისი საფუძვლების არსებობისას, აქციონერთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ანაზღაურების ფიქსირებულ და ცვალებად კომპონენტებს შორის უფრო მაღალი კოეფიციენტის დადგენაც, იმ პირობით, რომ წლიური ცვალებადი ანაზღაურების ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს წლიური ანაზღაურების ფიქსირებული კომპონენტის 200%-ს და დაცული უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება შეესაბამება მათ ჩართულობას, დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, გაწეულ ძალისხმევასა და დროის რესურსს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება მოიცავს მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებას, რომლის ოდენობა განისაზღვრება აქციონერთა საერთო კრების მიერ.

კონტროლის ფუნქციების თანამშრომლების ანაზღაურება არ არის დამოკიდებული იმ ბიზნეს ხაზის საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე, რომლებსაც ამოწმებენ ან მონიტორინგს უწევენ აღნიშნული თანამშრომლები.

ბანკის მიერ დადგენილია გარკვეული კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც მიიღება გადაწყვეტილება ცვლადი ანაზღაურების (მათ შორის გარანტირებული ცვალებადი ანაზღაურების) კორექტირების, (როგორც მინიჭებამდე, ისე მინიჭების შემდეგ) შემცირების და დაბრუნების შესახებ.